პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 3 ოქტომბერი 1978 წ. ☐ № 232 (17276) ☐ ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ტემპიც, ხარისხიც!

ახლა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მთავარ ყურადღებას უმობენ იმ ამოცანათა პრაქტიკულ გადაწყვეტას, რომელთა მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაცია და ძირითადი ფონდების დროული ამოქმედება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება და წარმოების ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება.

ამ დღეებში მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი ხაზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი ყურადღება მიაპყრო. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენების საკითხებს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში?

მიმდინარე წლის რვა თვის მუშაობის ანალიზი იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ამ საქმეში შესამჩნევი დადებითი ძვრები გვაქვს მოპოვებული. წლეულს მარწმუნდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 69 მილიონი მანეთით, ანუ 10 პროცენტით, ხოლო ხამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 19 მილიონი მანეთით, ანუ 4 პროცენტით. ავამოქმედეთ 365 მილიონი მანეთი ღირებულების ძირითადი ფონდები, რაც 30 მილიონი მანეთით მეტია შარშანდელთან შედარებით.

ეს შედეგები გვახარებს. მწყობრში ჩადგა ახალი ხამრეწველო ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, კულტ-საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო დაწესებულებები. მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 31.309 მოსწავლისათვის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი — 1.870 ბავშვისათვის (ზრდა 14 პროცენტს შეადგენს), პროფტექნიკასწავლებლები — 1.040 მოსწავლისათვის.

საექსპლოატაციოდ გადავეცით ახალი ხიმძლავრეები: 70 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონისათვის, მცხეთის ხაკონსერვო ქარხანაში 10 მილიონი პირობითი ქილის დასამზადებლად, ნავთობსაცავები თითქმის ათი ათასი კუბური მეტრი, 4,3 ათას ნომრიანი საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგური, სასწყობო მეურნეობები, მეცხოველეობის შენობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, ხილეულტენეულის საცავები, სასენაფე და სასილოსე ნაგებობანი, მექანიკური ხაწყობები მინერალური სასუქების შესახახად, ხოფლის მეურნეობის ორგანიზაციებში ტექნიკური ბომბასურების სადგურები, მოეწყო ხარწყავი სისტემები 3250 ჰექტარზე, ამოვაშრეთ 420 ჰექტარი დაჭაობებული მიწა და სხვ.

ეს გრანდიოზული სამუშაო ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მშენებელთა არმიის ალალი შრომის ნაყოფია, იმათი, ვინც დარში თუ ავდარში მკლავმოუღლელად შრომობს ქვეყნის აყვავებისა და ძლიერებისათვის.

საერთო-სახალხო ლაშქრობაში დევიზით: „ვაშენოთ სწრაფად, ლამაზად, ხარისხიანად!“ ტონს იძლევიან მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. ერთი თვის წინათ მათ იზეიმეს კაშხალის ტანში მეორმილიონე კუბური მეტრი ბეტონის ჩაწყობა, რითაც ვადამდე შეასრულეს მშენებლობის მეორე ეტაპი. შესრულდა მეათე ხუთწლედის სამი წლის ხაშენებლო-ხამონტაჟო სამუშაოთა გეგმაც. ვადამდე დაძლეულია მიჯნა, რომელიც ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იყო გათვალისწინებული. დღეს ენგურჰესის მშენებლობის მთელ ფრონტზე შრომის ცხარე დღეებია. ამას დიდად შეუწყო ხელი რუსთაველ მეფოლადეთა ინიციატივის — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“ ფართოდ გავრცელებამ მშენებელთა შორის. მშენებლობაზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ენგურჰესის მშენებლობის რესპუბლიკური პარტიული შტაბი. შეჯიბრების ყოველდღიური შედეგების შეჯამებამ ადგილობრივი რადიოქსელით და მრავალტრაჟიანი გაზეთის „ენგურის ჩრდილოეთი“ ხაშუალებით მისმა ხაჯაროობამ მშენებლების მაღალი პოლიტიკური და იდეური დარაზმულობა გამოიწვია.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აგება ჩვენი მშენებლობისათვის დიდი სკოლაც არის. ამიტომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა განაზოგადონ და ხელ უფრო ფართოდ დანერგონ აქ მომუშავე ნოვატორი მშენებელი ინჟინრებისა და მუშების მდიდარი გამოცდილება.

მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაში არსებული მდგომარეობა მაინც ხერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ძირითადი ხარვეზი ის არის, რომ ახალი სიმძლავრეების, ძირითადი ფონდებისა და საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციოდ გადაცემა თანაბრად არ ხდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე აღინიშნა, რომ სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი ხელმძღვანელი უბრალოდ შეურიგდა კაპიტალურ მშენებლობაში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, იმას, რომ საწარმოო ხიმძლავრეებისა და არახაწარმოო დანიშნულების ობიექტების ამოქმედება ჭიანურდება, ხოლო ხახსრები იფანტება მრავალ, ხშირად გეგმით გაუთვალისწინებელ მშენებლობებზე. დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ საწარმოო მოწყობილობას, მანქანებსა და მექანიზმებს. კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილ მდგომარეობას აუარესებს უყაირათობის, მასალების ხარჯვაში მფლანგველობის, მატერიალურ ღირებულებათა აღრიცხვის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, დამკვეთსა და შემსრულებელს შორის შეუთანხმებელი მუშაობის მრავალი ფაქტი.

გაუმართლებლად ირღვევა ახალი ობიექტების ხაექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. ჯერ კიდევ შარშან უნდა დამთავრებულიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა, რომელსაც მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტი აგებს (მმართველი — ტ. პაპუნაშვილი). წელს ეს ობიექტი სექტემბრის ბოლოს უნდა ჩაებარებინათ. განვლილ რვა თვეში მშენებლებმა დავალება მხოლოდ 59 პროცენტით შეასრულეს! ასევე ეჭვს იწვევს საქართველოს სახოფლო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტი, ცხინვალისა და ბოგდანოვკის მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობის ვადებში დამთავრება.

დამაფიქრებელია სამინაო მშენებლობის მდგომარეობაც. გაუმართლებლად გრძელდება საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების არათანაბარზომიერი გადაცემის მრავალგზის დაგმობილი პრაქტიკა. დამალია მშენებლობის ხარისხი. ვხვდებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის წამატების ფაქტებს. ყოველივე ამის გამო რვა თვეში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულდა მხოლოდ 89 პროცენტით, აუთვისებელი დარჩა 13 მილიონი მანეთი.

სამწუხაროდ, ჩვენთან კვლავ განაგრძობენ მორალურად გაცვეთილი ტიპობრივი პროექტებით სახლების აგებას. საჭიროა, შემუშავდეს ახალი ტიპობრივი პროექტების სერიები არსებული და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების გამოყენებით. ამ მხრივ ჩვენს არქიტექტორებს, სახმშენსა და მშენებლებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

„თქვენ კვლავაც უნდა სრულყოთ მრეწველობის ხტრუქტურა“, — მიუთითებდა ამ დღეებში მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, და ეს რჩევა-დარიგება უშუალოდ ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებსაც ეხება. ამ ხხლოდ სამშენებლო საქმის სრულყოფით, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით შეეძლებთ მეათე ხუთწლედში დახახული კაპიტალდაბანდებათა გეგმების მაქსიმალურ შესრულებას.

წინ ხაში გადამწყვეტი თვეა! მთელი ძალა და ცოდნა მოვახმაროთ ჩვენს აღმშენებლობის მამულიშვილურ საქმეს!

მეტი ტემპი და ხარისხი, მშენებლებო!

კონსტიტუციის წლისთავს — ღირსეული შეხვედრა!

რესპუბლიკის მშრომელთა ნობათები — სამშობლოს!

სიტყვა შეასრულეს

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

აჭარის ასსრ მეჩარეებმა, რომლებმაც ტრადიციად დაამკვიდრეს სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება, კვლავაც ისახელეს თავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავის აღსანიშნავად ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებათ ნაკისრი 57.400 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 57.570 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საშუალო ჰექტარობრიგმა მოსავლიანობამ 7.840 კილოგრამს მიაღწია. დამზადებული ჩაის ფოთლის 70,1 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის მომზადებულ პუნქტებს გეგმის გადამეტებით 5.400 ტონა ნედლეული ჩაბარდა.

ეს გამარჯვება მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

აჭარელ მეჩაიეთა ამ თვალსაჩინო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქობულეთელ და ხელვაჩაურელ მშრომელებს. ქობულეთელმა მეჩაიეებმა 38.791 ტონა ჩაის ნედლეული დაამზადეს, ხელვაჩაურელებმა კი 17.870 ტონა.

ჩაის მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისეთ მაღალმთიან რაიონში, როგორიც არის ქედა. ქედელებმა წლეულს უკვე 900 ტონაზე მეტი მოკრიფეს.

გეგმა-ვალდებულებების განაღდებაში განსაკუთრებით იაქტიურეს ქობულეთის რაიონის ჩაქვის და ოზურგეთის საბჭოთა მეურნეობებმა, ჩაისუბნის, ლეღვას, ბობოყვათის, დაგეს კოლმეურნეობებმა; ხელვაჩაურის რაიონის — ურეთის, ახალშენის, ახალოფლის, თხილნარის, მახოს, ქედის რაიონის მახუნცეთის და ზვარეს კოლმეურნეობებმა.

სარეკორდო მოსავალი მოიწეს მეჩაიეებმა: ე. ზაქარიაძემ, გ. ჭანიძემ, ხ. გორგილაძემ, ნ. ჭინჭარაძემ; სახელოვან მეჩაიეებს არც ახალგაზრდები — ნ. ერქომაიშვილი, შ. ბერაძე და სხვები ჩამორჩენენ. უხვი მოსავლის მოყვანაში დიდი მექანიზატორთა წვლილი.

ახლა პლანტაციებში ფართოდ გამოიყენება ჩაის ფოთლის სარეფი მანქანები და ხელის აპარატები. ამან განაპირობა, რომ არასასყოფილი ამინდების მიუხედავად, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოკრეფილია 1.070 ტონით მეტი ნედლეული.

აჭარის მეჩაიეები მიღწეულს როლი სჯერდებიან, ჩაის ფოთლის კრეფა და დამზადება გრძელდება.

სარეკორდო მიჯნა დაძლეულია

გაჭრთიანება „საქართველოს ჩაის“ ცნობებით

2 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა - ვალ. დებულება	ფაქტიურად დამზადებულ	შესრულ. (პროცენტ.)
გალის	39500	39584	100,2
ოჩამჩირის	29670	30895	104,1
სოხუმის	800	729	91,1
გულრიფშის	2540	2652	104,4
გუდაუთის	6560	6166	93,9
სულ აფხაზეთში	79070	80026	101,2
ხელვაჩაურის	17580	17870	101,6
ქობულეთის	38700	38791	100,2
ქედის	1120	909	81,1
სულ აჭარაში	57400	57570	100,2
მახარაძის	75000	75334	100,4
ჩოხატაურის	11600	11615	100,1
ლანჩხუთის	20033	20543	102,5
სამტრედიის	2590	2590	100,0
წულუკიძის	8280	8348	100,8
წყალტუბოს	11000	11915	108,3
ტყიბულის	9270	9844	106,1
ცხაკაიის	10330	10121	97,9
აბაშის	1100	953	86,6
მეგრეთკოროს	21360	21365	100,0
ზუგდიდის	56353	54864	97,3
ფალენჯიხის	26300	25580	97,3
ჩხოროწყუს	19140	19470	101,7
ხობის	8500	8599	101,1
თერჯოლის	1169	1101	94,1
ჭიათურის	855	1059	123,8
ვანის	650	686	105,5

● სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 421.684 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ზეგეგმითი ტონები

ხაკპა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბაქოში წარმოთქმულმა სიტყვამ, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი ფაბრიკის კოლექტივში.

სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მან ხაბი გაუსვა ხარისხის პრობლემას. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა ჩაის გადამუშავების სეზონის დასაწყისიდანვე შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვითა და კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების გაშლით ჩინებული შედეგებს მიაღწია. გადავამუშავეთ 6 ათას 598 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, ნაცვლად საგეგმო 6. ათას 398 ტონისა. გამოვუშვით 1480 ტონა სურნელოვანი ქარმოული ჩაი. ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცე დაცვით გავუმჯობესეთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და გავზარდეთ ასორტიმენტი. ამის შედეგად დაწარმოეთ „საქართველოს თაგული“ — 1200 კილოგრამი, ნაცვლად 800 კილოგრამისა, „ექსტრა“ — 43 ტონა, ნაცვლად 40 ტონისა, რითაც განვლილ ცხრა თვეში სახელმწიფოს მივეცით 40 ათასი მანეთი მოგება.

რ. სიხარულიძე,
ბახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის ნოვატორი მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საკარმიდამო ნაკვეთებიდან

სილნალი. სოფელ ანაგიდან დავით ბაბალაშვილმა თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 7.880 კილოგრამი ყურძენი, ეკატერინა ლიზა ხელაშვილმა — 6.890 კილოგრამი, თამანაოფლელმა ჯემალ ნანობაშვილმა — 6.510 კილოგრამი, საკობოდან შალვა სანდერაშვილმა — 6.200 კილოგრამი ყურძენი.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

დიდი რითმეტიკა

„სამტრესტის“ ცნობებით 2 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	1 ოქტ. ამდ. მოკრეფა	სულ მოკრეფილია
გურჯაანის	88000	4284	81607
თელავის	61200	2811	32877
ყვარლის	38000	1401	24340
სიღნაღის	34000	2161	24291
ახმეტის	30400	1184	10855
წითელწყაროს	25100	1039	17789
საგარეჯოს	24100	662	6341
ლაგოდეხის	8.500	633	8012
მარნეულის	19000	568	10610
ბოლნისის	11480	567	7508
გარდაბნის	10500	18	2372

☐ *I ოქტომბერს მოიკრიფა 15.362 ტონა ყურძენი.*

☐ *სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 222.112 ტონა.*

მაღაროელთა წვლილი

ახალი ენერგია შეგვმატა მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც მან ბაქოში ხახეიმო სხდომაზე წარმოთქვა.

ეს არის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი წინსვლისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის დიდი ზრუნვის გამოხატულება. ლეონიდ ილიას ძეს აღნიშნა, რომ მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებით სულ უფრო დამაჯერებელ წარმატებებს აღწევს.

გვეამაყება, რომ ამ მძლავრ ინდუსტრიულ მაგისტრალში, ჩვენი წვლილიც არის. მაღაროთხამმართველომ დღეისათვის ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის 9 თვის დავალება. გამოშვებულია ძვირფასი ლითონების — ტყვიისა და თუთიის კონცენტრატების ზეგეგმითი ტონები.

სწორი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის შედეგად ამაღლდა შრომის დისციპლინა, და აი, ერთი წელია ჩვენი ხამმართველოს კოლექტივი ყოველთვიურად ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ნათელია კვაისის ხვალინდელი დღე. აღმოჩენილია მდიდარი მადნის შემცველი ახალი ჰორიზონტები. ახლა ჩვენი წარმატება დამოკიდებულია ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის დროულ დამთავრებაზე, რომელიც მწარმოებლობას 1,3 ჯერ გაზრდის. მისი აგება გაისად უნდა დამთავრდეს, მაგრამ გვაღონებს ის, რომ ფაბრიკის მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კვაისელი მაღაროელები პირობას ვდებთ, რომ საქმით ვუპასუხებთ ჩვენი პარტიის ზრუნვას და ხორცს შეგასამმარ მის მიზანდასახულობებს.

ა. ხუბაევი,
კვაისის მაღაროთხამმართველოს ვეტერანი მუშა, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

ხუთწლედის მოწინავენი

ახალგაზრდული შემართებით

ჟუთაისის ს. ორჯონიკიძის ხახელობის საავტომობილო ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა კოლექტივმა, რომელმაც გ

-შალა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ხუთწლედის მესამე წლის დამდეგიდან რეალიზაცია გაუკეთა ორ მილიონ მანეთისაზე მეტ ზეგეგმით პროდუქციას. ავტომშენებლებმა ზედიზედ 23-ჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის ხამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

10 ბრიგადამ, რომლებშიც ორასზე მეტი მუშაა გაერთიანებული, ხამშობლოს უმატაკეს ხუთწლედის სამი წლის გეგმის შესრულება.

ხურათებზე: ჟუთაისის ავტოქარხნის ხაწნეხ-ხამჭედლო ხაამქროს მტვიფრავების ხაუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): ცოცალა კოხრიძე, ნანული გეგელია, ბრიგადირი ლუარა ლაცუზბაია, დარეჯან ვაშაკიძე, ნანული პირცულიანი და ნაზი ჩაჩანიძე; ძარების ხაამქროს კომკავშირელმა გულსუნდა რობვაძემ ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლედის სამი წლის დავალება და სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ბ. ბერსამასა და შ. პრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



კადრების სწავლება

დამთავრდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის მორიგი ნაკადის მეცადინეობა. ერთი თვის მანძილზე ინსტიტუტის მსმენელები — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული გაზეთების რედაქტორები — სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის, თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის აქტუალურ პრობლემებს. ყოველმხრივ იქნა გაშუქებული ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, სკკპ XXV კრების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა პლენუმების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში წამოყენებული ამოცანების შესასრულებლად მზრომელთა დარაზმვაში პრეესის როლის შემდგომი ამაღლების საკითხები.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ა. კარლოვი, კ. ს. სიმონოვი, ფ. ი. მოჩალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ნ. ა. პეტროვიჩევი, გ. ლ. სმირნოვი, ვ. ვ. ზაგლადინი, ვ. თ. ისაევი, ვ. ი. დრუგოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, სსრ კავშირის მინისტრი ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. გ. ლაპინი, რუსეთის სფსრ მინისტრი ლ. ი. ფლორენტიევი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. პროხოროვი, სსრ კავშირის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. სუხარევი, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. კოსტინი, საკავშირო ენერალური მდივანი ვ. პ. ხატუნცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის ცენტრალური ორგანოების, საინფორმაციო საგენტოების ხელმძღვანელები, მწერლები, მეცნიერები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორები.

პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესახებ, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის თაობაზე ილაპარაკეს სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანმა კ. მ. ჩერნოვმა, ულიანოვის კომპარტიის ლენინის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ი. ბანდროვსკიმ, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. მ. კაპუსტინმა.

მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“.

„სწავლის პროცესში, ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, მოეწყო სიმინარული მეცადინეობანი, რომლებზეც განიხილეს პრესის იდეური დონისა და ქმედითობის შემდგომი ამაღლების, მშრომელთა მასებთან გაზეთების რედაქციების კავშირურთიერთობის განმტკიცების საკითხები. (საკვლევი).

ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა

2 ოქტომბერს ნიუ-იორკიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობდა სსრ კავშირის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIII სესიაზე.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ვ. გრიშინი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკვლევი).

საბჭოთა კავშირში ვიზიტად ჩამოვა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰ. ასადი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით ამა წლის ოქტომბრის დამდეგს საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

რეზერვების ძიების ნიშნით

მარნეული. ყოველი სამეურნეო წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ხნულში პირველი თოვლის ჩაგდებით იწყება, მაგრამ ნათქვამია, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია. ამიტომაც ახლა, როდესაც მინდვრად იძალა ოქროსფერმა და შემოდგომა სულ უფრო შედის თავის უფლებებში, ისევე როგორც ყველგან, გახარებული მუშაობაა გაჩაღებული გარდაბნის რაიონის მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებშიც.

მარტყოფელებმა რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა დაამთავრეს თავთავიანი კულტურების მარცვლეულის ღება — 1700 ტონაზე მეტი ხორბალი, ქერი და შვრია გაგზავნეს სახელმწიფოს ბეღელში. თითოეული ბექერიდან გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად 23 ცენტნერზე მეტი მარცვლეული მიწიეს. ასეთი კარგ შედეგს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მიაწერს ყოველი ჰექტარის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრუნვითობაც მიაღწიეს.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ამ საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პირველი აგროგანყოფილების მშრომელებს და განსაკუთრებით კომეხანტლებს. მაგალითად, ა. კვეთოაშვილს, თ. ძაბაშვილს, მ. კირეულიშვილს, გ. შინჯიკაშვილს, ზ. შეიტაშვილს, ი. გიუნაშვილს და სხვებს, რომლებიც შრომის პირადი მაგალითის უჩვენებენ თანამოსაქმეებს.

მეგობარობის ამ ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი მ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს, შარშანდელ საიუბილეო წელს 1350 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 1700 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ბოსტნეული მიაყარა. სწორედ კომუნისტების დიდი დამსახურებაა ისიც, რომ 1ს 2 მეგობარ-

კატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი

მეგობრობის ცხოველმყოფელი ქალა

მეგობრობის თემა ბევრი ამოუწურავია და უსაზღვრო, როგორც ამ მეგობრობით მოქსოვილი კეთილი საქმეები. ამის ცოცხა მაგალითს როგორ ნახავთ ერთ-ერთ მრავალეროვან რაიონში — მარნეულის რაიონში. აქ ერთსულოვან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები... ერთი სიტყვით, ათობით ეროვნების წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ აქ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პარტიის რაიკომი, პირველი პარტიული და საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები ადამიანთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მეათე ხუთწლედის გეგმების და მომდინარე წლის ნაცვლად ბალანსებისა და ბიუჯეტების შესრულებისათვის ბრძოლაში მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების სისტემის შემადგენელი ნაწილია.

ერთად რომ ცხოვრობენ, რაიონის მშრომელები ერთმანეთის ამდიდრებენ, ერთმანეთის ენას, რომ ფლობენ, სწავლობენ ერთმანეთის ტრადიციებსა, ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას, და იქმნება ინტერნაციონალური ოჯახები და კოლექტივები.

პარტიის რაიკომი იღებს ალბალოდ მშრომელები იმ მაღალ მოთხოვნებს შესაბამისად, რომლებიც წამოყენებულია სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, საფინანსო ორგანოების 1976 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში მარნეულის რაიონის შესახებ, სადაც აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიული კომიტეტის მუშაობაში, აქრძოლ, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები განსაზღვრავს ინტერნაციონალური აღზრდის ძირითად მიმართულებებს და უფრო გამიზნულ, ეფექტიან და კონკრეტულ ხასიათს ანიჭებს ამ მუშაობას, საშუალებას იძლევა კიდევ უფრო მეტი ფიქრიანად დაუკვეშრომ ოგი იდეოლოგიური მუშაობის კომპლექსური მიდგომის მთელ სისტემას.

მიზანი ის არის, რომ ყველამ, ვინც რაიონში ცხოვრობს უფრო ღრმად შეიგნოს ხალხთა მეგობრობის მძლავრი. ცხოველმყოფელი ქალა, ამაყობდეს, რომ ისინი ჩვენი დიადი სოციალისტური საშობლოს მოქალაქეები არიან.

ამ პასუხსაგებ საქმეში პარტიის რაიკომს კარგ პრაქტიკულ დახმარებას უწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ორი წლის წინათ შექმნილი მეგზურ-მოქმედი ზონალური სემინარი პროპაგანდისტებისათვის; აქ მეცადინეობას აზერბაიჯანელ ენაზე ატარებენ და ცენტრად არჩეულია ქალაქი მარნეული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურა რეგულარულად კითხულობენ სალექციო ლექციებს ხალხთა მეგობრობის თემებზე, მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობის გაშუქებას. ამ თემაზე გამოსული ორატორები ლაპარაკობენ ამ მეგობრობის ისტორიულ ფესვებზე, მოპყავთ დამაჯერებელი მაგალითები პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში ორი მეობრული ხალხის კავშირურთიერთობის შესახებ, ეხებიან ყაზახეთ და ოსეთ-ალანეთ ავტონომიურ ოლქებში ეროვნული ურთიერთობის ლენინური პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებას, ეროვნულ საკითხებზე ლენინური ანდერძის ასრულებას, ეროვნულ ურთიერთობებში ადამიანური ფაქტორის ფასეულობას, ეროვნულ ურთიერთობებში ინტერნაციონალური ფორმირების ობიექტურ ტენდენციებს

საერთაშორისო ცხოვრება

ერთიანი ბიბლიოთეკა

საკვლევი იტყობინება

ხალხი მოითხოვს

ნიუ-იორკი. (საკვლევი ხუეცკორ.). ერთა საერთაშორისო გაერთიანება მხარს უჭერს ახალ სამეფოთა ინიციატივებს, რომლებიც გამსჭვალულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისადმი გულწრფელი ზრუნვით და მიზნად ისახავენ დაძაბულობის შენელებას პროცესის განმტკიცებას, გამალებული შეიარაღების ალაგვასა და ახალი ომრომბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრას.

ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს „ეკონომიკური ერთიანობა ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის აქ მიმდინარე 33-ე სესიის ფულგაკეთა გამოსვლები. სესიის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ სესიებით მოიწონა საქართველოს კავშირის მიერ შემოტანილი პროექტი საერთაშორისო კონვენციისა უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების შესახებ.

ასეთი კონვენციის დადება, რომელიც შეიცავს საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებას არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც უარს ამბობენ ასეთი იარაღის წარმოებასა და შეძენაზე და არა აქვთ იგი თავის ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან გეორგიანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფიშერმა, მნიშვნელოვანწილად შეამცირებს ბირთვული ომის საფრთხეს ადამიანებისთვის. ასევე, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბირთვული ომის საფრთხეს ადამიანებისთვის. ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბირთვული ომის საფრთხეს ადამიანებისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ფება უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცებას, იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ბირთვული იარაღის განთავსებულობის შესახებ, ადგილი იგი ამჟამად არა აქვთ, შეესაბამება ყველა შშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მისწრაფებებს, თქვა მან.

ბელგრადულ სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ როგორ დიდი ზნეშენელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირთან დაიდოს შეთანხმება სტატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ შეთანხმება სტატეგიული შეზღუდვის შესახებ შეიძლება დადოს მომდინარე წლის დამლევამდე.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მაღწეულ იქნეს სწრაფი პროგრესი ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვისა და ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილების დარგში. ს. ვენსმა თქვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის საბოლოო დოკუმენტში აღნიშნული რეზოლუციები მთელი რიგი ბირთვული სახელმწიფოებისა უბირთვო სახელმწიფოების წინააღმდეგ მათ მიერ ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის შესახებ.

როგორც ითქვა, საბჭოთა კავშირმა პირველმა განაცხადა, რომ იგი არასოდეს არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს ამ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ ბირთვული იარაღის ფლობაზე.

ს. ვენსი შეეხო კემპ-დეივიდის მოლაპარაკებას და გაიმეორა ამერიკის მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ ეგვიპტეს აქტიური მონაწილეობით ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დადებული შეთანხმებანი თითქოს გეიახლოვებს ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებას. ამასთან სესიის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას კემპ-დეივიდის სეპარატული შეთანხმება მიიჩნიათ ანტიარაბულ გარიგებად, რომელიც განმტკიცებს ისრაელის აგრესიას შედეგებს და ახლო აღმოსავლეთში ეითანრებას კიდევ უფრო საშიშს ხდის. კემპ-დეივიდის შეთანხმებანი, ხაზი გაუსვა ზოგადპოლიტიკური დისკუსიის დროს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ჰამადიმ, „ალიერებენ დაძაბულობას და აკიენურებენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებას, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის საერთაშორისო შშვიდობასა და უშიშროებას“.

აფრიკის კონტინენტზე დასავლეთის ნეოკოლონიალისტური ბრაკები გადაეჭრათ დაემო მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზ. ჩისანომ. იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის ძალები, თქვა მან, კვლავინდებურად ახორციელებენ აფრიკაში ამ კონტინენტის ხალხთა ეროვნული ინტერესებისადმი მტრულ პოლიტიკას. მინისტრმა მოითხოვა უსწრაფესად მოისპოს რასისტულ-კოლონიური წესები როდეზიაში, ნამიბიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მთლიანად ამოიძირკვოს აპარტეიდის სანარცხვინო სისტემა.

მოზამბიკის დელეგაციის მეთაურმა მადლობა მოახსენა სოციალისტურ ქვეყნებს, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს იმ ძმური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომლებსაც ისინი უწევენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის შეთქმულების წინააღმდეგ მებრძოლ აფრიკელ ხალხებს.

ძმური მეგობრობის სულისკვეთებით

ულან-ბატორი, 2 ოქტომბერი. (საკვლევი). აქ დამთავრდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 87-ე სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე იუგოსლავიის წარმომადგენელნი. მათ განიხილეს აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 33-ე სხდომის გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო სხვა პრობლემები.

სხდომამ ჩაიარა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ოფიციალურ ვიზიტად

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკვლევი). გერმანიის ტრანიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს მოწვევით აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის პრეზიდენტი ჰ. ასადი.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის გაიმართა საუბარი საერთაშორისო აქტუალური საკითხების, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ.

ურთიერთგაგების საფუძველზე

პარიზი. საკვლესის კორესპონდენტი ვ. კოროჩანცევი გვატყობინებს: საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივმოქმედი შერეული კომისიის მომავალი მორიგი სესია ახალი ეტაპი იქნება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში. ამ აზრს გამოთქვამს ამ დღეებში საფრანგეთის საქმიანი წრეების ბევრი წარმომადგენელი, პრესა.

ექვი არ არის, რომ სესიის შედეგი იქნება ჩვენი გაცვლის შედეგიმი განვითარება, რაც დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების მნიშვნელოვანი ფაქტორი, განაცხადა საფრანგეთის თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საკავშირო პალატის თავმჯდომარემ როლან ნიუნეკერმა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის სტილი, რომელსაც საფუძველად უდევს ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა.

მე ვმონაწილეობდი საბჭოთა ფირმებთან ბევრ მოლაპარაკებაში და მტკიცედ დავრწმუნდი, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა — ეს არის მშვიდობის პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა გაზეთ „მატენისათვის“ მიცემულ ინტერვიუში კომპანია „ინტერაგრას“ ხელმძღვანელმა ჟანბატისტ დუმანმა.

უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და საავჭრო თანამშრომლობა,—აღნიშნა საკვლესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ჟან-ფრანსუა დენიომ. ეს თანამშრომლობა შეესაბამება ორი ხალხის ინტერესებს. ამ თანამშრომლობის მიხედვი აღნიშნული იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის 1977 წლის ივნისში რამბუიეს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ორმხრივი თანამშრომლობის ტემპი განუხრელად იზრდება, ფაქტობრივად გამოყენებული დიდმასშტაბიანი გრძელვადიანი კონტრაქტები კომპენსაციური საფუძველზე.

ძმური მეგობრობის სულისკვეთებით

ულან-ბატორი, 2 ოქტომბერი. (საკვლესი). აქ დამთავრდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 87-ე სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე იუგოსლავიის წარმომადგენელნი. მათ განიხილეს აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 33-ე სხდომის გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო სხვა პრობლემები.

სხდომამ ჩაიარა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ოფიციალურ ვიზიტად

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკვლესი). გერმანიის ტრანიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს მოწვევით აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის პრეზიდენტი ჰ. ასადი.

კომისიამ მუშაობა დაამთავრა

ვაშინგტონი, 30 სექტემბერი. (საკვლესი). აქ მუშაობა დამთავრა სპინიამ და სხვა საბჭოის მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მესამე სესიამ. კომისიამ განიხილა მეორე სესიის შემდგომ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები და შეთანხმა 1979 წლისათვის ერთობლივ გამოკვლევათა და ნამუშევართა თემატიკა.

გათვალისწინებულია, კერძოდ, განხორციელდეს მთელი რიგი პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ დიდმასშტაბიანი მშენებლობის მირთვის სრულყოფას, სესიამერ რათა ნებში აგებული შენობებისა და ნაგებობების საიმედოობისა და ეკონომიურობის ამაღლებას, ახალი ეფექტიანი სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების შექმნის, ისტორიული შენობებისა და ქალაქის რაიონების რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის საკითხთა შესწავლას.

საბჭოთა დელეგაციას სესიაზე მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე ე. ტ. ნოვიკოვი, ამერიკის დელეგაციას — საბინაო მშენებლობისა და საქალაქო განვითარების მინისტრი პ. რ. ბარისი.



პრესის ცნობებით, მარტო წლეულდელი წლის დატგომიდან ჩამოქცეული შენობების ნანგრევებში დაიღუპა 200-ზე მეტი კაცი, ხოლო ისინი, ვისაც „ბედმა გაუღიმა“ — მხოლოდ დაშავდა ან კიდევ დროზე გამოასწრო გარეთ, ათასობით ალიაცხებიან. დღეისათვის კაიროს მუნიციპალიტეტის მონაცემებით, საგანგაშო ავარიულ მდგომარეობაშია 300 ათასი სახლი, ანუ თითქმის მთელი საცხოვრებელი ფონდის 70 პროცენტი.

ყველაფერი ამის მიზეზია მუნიციპალიტეტური სახსრების უყმაროდ სახლების შესაკეთებლად, თანაც კერძო „ქომერციული“ სახლების მფლობელთა სიხარბე, რომლებსაც არ სურთ დაიხარჯონ რემონტისათვის, ხოლო ზშირად მოგების მიზანით ამ ბინებიდან ისევ ადასანგრევად განწირულ სახლებს. მარკვენა სურათზე ხედავთ ერთ-ერთ ასეთ ჩამონგრეულ სახლს, ხოლო მარცხნივ — „ბედნიერ“ ოჯახს, რომელსაც „ბედმა გაუღიმა“ — დაღუპვასაც გადაურჩა და კარავიც ეშოვა.

ასოშიეიტედ პრეს-საკვლესის ფოტო.

ოფიციალურ ვიზიტად

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკვლესი). აქ დამთავრდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 87-ე სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე იუგოსლავიის წარმომადგენელნი. მათ განიხილეს აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 33-ე სხდომის გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო სხვა პრობლემები.

სხდომამ ჩაიარა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ოფიციალურ ვიზიტად

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკვლესი). გერმანიის ტრანიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს მოწვევით აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის პრეზიდენტი ჰ. ასადი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲨᲘ



ᲕᲐᲪᲣᲠᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲔᲜ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ!..

რა დარდი შემოაწვა შენს ციცხლოვან გულს, ფიქრებმა ოატომ დაგიმარტოვეს, სევდანი რად გასაქერი ხაცნობ სტიქონს... თქვენ გგონია ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, კვლავ არ დაუბრუნდები შენს ოცნებებს, შენს ზღვას, შენს ქარიშხლიან ცხოვრებას.

სიცოცხლე წინაა, ზღვის მბრძანებელო! შენი განვლილი ცხოვრება ციცხლად აბრიალებულა, გზის უნათებს გემებსა და ხომალდებს ზღვებსა და ოკეანეებში. შეკურასავით ანთიხარ მედგარი და შეუპოვარი.

ისევ გიხმობს ყინულმჭრელ „სიბირიაკოვის“ გმირობა, შორეული ნაოსნობის გემის „თბილისის“ უშიშარი რეისები...

ურჩად დაუდექ უიმედობას, კაპიტანთა კაპიტანო!

მოიგონე 1943 წელი: შაივ ბურუსი და ჯანიო სამშობლოს ცაზე; პოლარეთის დაპატრონებისათვის ჩაფიქრებული ჰიტლერული სენს. ებრძოდი შენ, ებრძოდნენ: შენი მკურნალი ექიმები, შენი ცხოვრების მეგობაო და თანაზიარი, შენი ხალხი და ერთიანი ნების ყველა ადამიანი, ვისაც კი ახსოვს შენი შემართება და ქარიშხლიანი ცხოვრების გზა. მოსკოვისაკენ მოემართებოდნენ თვითმფრინავები — ბელგიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან. მოკრნდათ მეგობრების, შორეულ ნაოსნობაში მყოფი საბჭოთა მეზღვაურების მიერ გამოგზავნილი მედიკამენტების უებარი ამანათი, გულში ჩამწვდომი წარწერით: „ძალიან სასწრაფოდ, კაპიტანთა კაპიტანს ანატოლი კაპარავას“.

შენ დაგიხსნა მეზღვაურის ძალიერმა ნებისყოფამ და ორგანიზმმა, მოსკოველი დასტაქრების განუმეორებელმა ჩარევამ და მკურნალობამ, მეგობრების მიერ გამოწვდილმა დახმარების ხელმა — ყველაფერმა ერთად, შენს გადასარჩენად ერთ ნებად შეკრულმა და შეერთებულმა.

იმ განსაცდელის ჟამს ხშირად მახსენდებოდა ომის შემდგომ პროროდში შექმნილი ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ფილმი: „თუ მსოფლიოს ჰაბუკები“.... და რატომღაც ვადარებდი საყვედილ საშიშროებისაგან შენი დახსნაა ერთიან სურვილს...

დიახ, თუ მსოფლიოს ჰაბუკები დარაჯად დაუდგებიან ადამიანის ჯანის სიმრთელეს, სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შეარჩუნებას, ჩვენს ლამაზ დედამიწაზე, რომელიც გაჩენილია სიყვარულისა და სიცოცხლისათვის, მოისპობოდა ავადყოფობა და უკეთურება, ქიშპი და მტრობა...

შენ შესძელი შენი დროის სიმაღლემდე ასვლა, ჯოკესათვის თვალის გასწორება.

დიდხანს იცოცხლე ზღვის ბრძანებელო! იგი სჭირდება შენს სამშობლოს, მომავალ თაობებს, რომლებსაც შენმა ცხოვრებამ და შრომამ უნდა ასწავლოს კაცურ-კაცობა, შეუპოვრობა, თავგანწირული ბრძოლა და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოსვლა.

ვალავ დაუდექ სამშობლოს ერთგულ დარაჯად.

არა და არა, გულს დარდი არ გაიკარო, საკუთარ თავს ხმა დაბლაც არ ჩასძახო — მორჩი ეი-დიოლოო. არ დაიმალო ოცნებებით ქაში აფრენა, ზღვის ფსკერს ჩაწვდები. ისევ მოგელის შეიგან დაპყრობილი და შენს ფეხქვეშ განაბული ბობოქარი სტიქია...

ეშმაკი შეეხებისთვის, კაპიტანთა კაპიტან!

თინა ზარგინავა.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ანატოლი კაპარავა. (სურათი გადაღებულია თბილისში 1977 წ. 18 ოქტომბერს).

ᲒᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲜᲚᲐ ახალი საავტომობილო გზა. ახმეტიდან მთა-თუშეთის ცენტრ ომალოში პირველი მანქანა მივიდა. გადაზე თითქმის თვენახევრით ადრე გადაეკვანა თორღვის ამანო—ომალოს ეგრეთ წოდებული პიონერული გზა „თბილისგვირაბმშენის“ № 9 გვირაბმშენებელთა რაზმის ალვანის სამშენებლო უბნის კოლექტივმა, რომელმაც თავისი შრომითი გამარჯვება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველ წლისთავს მიუღვნა.

ამბერიდან ამ მხარის მამაც ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ საქართველოს ბართან დაკავშირებული იყვნენ მხოლოდ ვერტმფრინავებია ტრასებთა და საცალფეხო ბილიკებთ, შესაძლებლობა მიეცათ შეუფერხებლად დაამყარონ ურთიერთობა ალაზნის ველთან.

ხალხი იმედითა და აღტაცებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ გაკაყვადთ რესპუბლიკაში ამ ურთულესი 32-კილომეტრიანი ტრასის ხაზი, რომელიც ალაგ-ალაგ ზღვის დონიდან 3.000 მეტრ სიმაღლეზე გადის.

ახალი მაგისტრალი ხელს შეუწყობს იმას, რომ სრულად იქნეს გამოყენებული არა მარტო ათასობით ჰექტარი საძოვრები — რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ეს მნიშვნელოვანი რეზერვი, არამედ უთვისებელი ტყის მასივებიც, რომლებიც 12,5 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზეა გადაჭიმული.

— მთებსა და ხეობებში ტრასის გაყვანისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტებს ალვანის სამშენებლო უბნის უფროსმა ა. გალდავაძემ, — 700 ათას კუბურ მეტრზე მეტი კლდის ქანები გადავიტანეთ, 300 ათასი კუბური მეტრი გრუნტი გადავზიდეთ. დაახლოებით ორმოც ჰექტარ ფართობზე გაკეთდა ტყე და ამოვძირკვეთ კუნძები.

და მათ გაიმარჯვეს! თავდადებით შრომობდნენ ნოდარ ახესაძის ამფეთქებელ-მბურღავთა ბრიგადის წევრები — ვაჟა გიგოიძე, ფიდო თავბერიძე, ჰამლეტ თორღვაძე, ჯუმბერ კახოიძე, კოსტა თორღვაიძე და სხვები. თავი გამოიჩინა მექანიკოსმა სპირიდონ კოჭლამაზაშვილმა. ომალოს მხრიდან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ინჟინერი ბესიკ თორღვაიძე და გზის ოსტატი ნოდარ ჯიჯურიძე.

სპირისპირო მხრიდან ტრასა გაკაყვდა გურამ ქიმეკაშვილის, შალვა ლილაურისა და გიორგი ასაბაშვილის ბრიგადებს (სამუშაოთა მწარმოებელი — ალბერტ ვეფხიაიძე, გზის ოსტატი — შოთა ბილოიძე). ჩინებულად შრომობდნენ მუშები ფირუზ შამშალაიძე, გიორგი იდოიძე, უშანგ ბექურაიძე, გიორგი შაბალაიძე, ნოდარ ჩეთაიძე, მიხეილ ხახიძე, დავით ტალიურიძე და სხვები.

სრული უკუგებით მუშაობდნენ მებულდოზერეები თანდილა ჯანიბეგაშვილი, გიორგი დოინჯაშვილი, შალვა შამელაშვილი, ელიზბარ ბოდაფელი, გიორგი ტერტერაშვილი, აბრამ შეთეკური, შალვა დოინჯაშვილი, ამბრან ქაცი, გიორგი ბერძენიშვილი და სხვები. ნაკლებ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდნენ დღის დაგეგმილს და საშუალოდ დღეღამეში 30-40 მეტრს გზა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲝᲛᲐᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ

თუშეთი საკანქანო გზით დაუკავშირდა ბარს

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ

გვიდა ალვეთელ დაგასახელოთ [illegible] ... ომალოელ, რომლებიც უანელესი პირობების უამინდობის მიუხედავად წარმატებით მიიწევდნენ წინ კლდეებში და დიდ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს.

ჯერჯერობით დამთავრდა წინაუშაოთა მხოლოდ პირველი ეტაპი. გაისად, გზა საპროექტო პროფილამდე გაფართოვდება. მისი სავალი ნაწილი გზის ნაპირებთან ერთად რვა მეტრს მიაღწევს; თუშეთის ალაზანზე 69-ე კილომეტრზე გაიდება ლითონის ხიდი, დაიწყება ძირეული საყრდენი კედლების მშენებლობა.

გზის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება მეათე ხუთწლედის დამლევს.

Კ. ᲐᲛᲐᲚᲚᲝᲑᲔᲚᲘ,
Ი. ᲒᲝᲚᲓᲜᲐᲜᲘ,
(საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები).



ᲝᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

ᲑᲐᲒᲘᲝ. ჭადრაკში ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის შორის მსოფლიო პირველობის მატჩის ოცდამერვე პარტია ორ დღეს გაგრძელდა.

გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს:

Ა. ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ-Ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ
ესპანური პარტია

1. c4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ∂b5 a6 4. ∂a4 ∂f6 5. 0-0 ∂:e4 6. d4 b5 7. ∂b3 d5 8. de ∂e6 9. c3 ∂c5 10. ∂c2 ∂g4 11. ∂e1 ∂e7 12. ∂bd2 ∂d7 13. ∂b3 ∂e6 14. h3 ∂h5 15. ∂f5 ∂cd8 16. ∂e3 a5 17. ∂c5 a4 18. ∂:e7 ∂:e7 19. ∂bd2 c6 20. b4 ∂g5 21. ∂e2 g6 22. ∂g4 ∂:g4 23. hg ∂de6 24. ∂e3 h5 25. ∂:g5 ∂:g5 26. ∂:g5 ∂:g5 27. gh ∂:h5 28. ∂f1 ∂h4 29. ∂ad1 ∂∂e7 30. f3 ∂e6 31. ∂e3 ∂d8 32. ∂g4 ∂g5 33. ∂e3 ∂e6 34. ∂g4 ∂g7 35. ∂e3 ∂f5 36. ∂c2 ∂c4 37. ∂d3 d4 38. g4 ∂g7 39. ∂:d4 ∂e6 40. ∂ed1 ∂:d4 41. cd ∂:b4 42. ∂∂f2.

ამ პოზიციაში პარტია გადადო. პარტიის განახლებისას ბრძოლა შემდეგნაირად გაგრძელდა:

42... c5 43. d5 ∂b2 + 44. ∂∂g3 ∂:a2 45. ∂e3 b4 46. c6 ∂a3 47. ∂e2 f6 48. ∂:e6 + ∂∂f7 49. ∂de1 ∂d7 50. ∂b6 ∂d3 51. ∂ee6 ∂3:d5 52. ∂:g6 a3 53. ∂bf6+ ∂∂e7 54. ∂e6+ ∂∂f8 55. ∂ef6+ ∂∂e7 56. ∂e6+ ∂∂d8 57. ∂a6 ∂b7 58. ∂g8+ ∂∂c7 59. ∂g7+ ∂d7 60. ∂g5 b3 61. ∂:c5+ ∂∂b8. თეთრები დანებდნენ.

ანგარიში გახდა 5:3 ა. კარპოვის სასარგებლოდ.

ᲛᲔᲗᲘᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ

ᲑᲘᲠᲕᲘᲜᲗᲐ. კვირას მოეწყო ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილსა და მ. ჩიბურდანიძეს შორის მსოფლიო პირველობის მატჩის მე-14 პარტიის დამთავრება. მ. ჩიბურდანიძეს, მართალია, ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ გადადებული პარტიის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს უპირატესობა საკმარისი არ იყო მოგებისათვის. 52-ე სვლაზე პარტია უაიმით დამთავრდა და ანგარიში გახდა 8:6 მ. ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. გთავაზობთ პარტიის გაგრძელების ჩანაწერს:

თეთრები: ნ. გაფრინდაშვილი
შავები: მ. ჩიბურდანიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲠᲙᲔᲖᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲠᲙᲔᲖᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲗᲠᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 2 ოქტომბერი. („კომფინტერნის“ სპეც. კორ.). შესანიშნავი ფინიშით დამთავრეს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა. საქართველოს ნარჩომ სპორტსმენებმა. სობუმელმა მოსწავლემ ელგუჯა ჯიქიამ 100 კილომეტრზე ველორბოლაში პირველმა დაამთავრა დისტანცია და სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. სპარტაკიადის ოქროს მედალი დამსახურა მეორე სობუმელმა მოსწავლემ ლევან ვახანამ, რომელიც ფინალურსი იყო 25 მეტრზე მცურავ-ალბრიანი პისტოლეტით ხროლაში. საქართველოს მსროლელთა ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზეა.

პირად პირველობაში წარმატებით იასპარეზეს ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმაც. ბჟენთი ხტომებში თბილისელი პავლე ლეონტიევი მესამე იყო, ხოლო მის თანაგუნდელ ხვეტლანი ფილტაკას ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად ნაირსიმაღლის ორძალზე ვარჯიშში.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებ გუნდს ბოლო მედალი მოუტანა მესტიის რაიონის სოფელ კალეს საშუალო სკოლის მოსწავლემ რამაზ მარგველანმა. მან მესამე ადგილი დაიკავა. ძიუდოისტთა გუნდი ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი კოლექტივია, რომელიც გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელს დაეუფლა.

საქართველოს ფეხბურთელებმა ბოლო მატჩი წააგეს სპარტაკიადის მასპინძლებთან (1:2) და IV ადგილზე გავიდნენ.

სპარტაკიადის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენმა დელეგაციამ მეექვსე ადგილი დაიკავა.

თ. ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲠᲔᲒᲑᲘ

ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები. კიევის „ავიატორმა“ შინ მიიღო მოსკოვის „ფილი“ და დამარცხა მშრალი ანგარიშით (10:0). ამ გამარჯვებამ „ავიატორს“ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება შოუტანა, „ფილმ“ კი მეორე ადგილი დაიკავა. თბილისის „ლოკომოტივმა“ მოუგო მოსკოვის „სლავას“ (10:6), დაგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც „ფილმმ“, მაგრამ მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა. უპირატესობა მიეცა „ფილს“, ვინაიდან ჩემპიონატში თბილისელებთან გამართული სამი მატჩიდან ორი შეხვედრა „ფილის“ გამარჯვებით ალინიშნა. თბილისელები ჩემპიონთა წოდებასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოლო მატჩებში ასპარეზობისას მოეცალა [illegible] ... ნი, საკუთარი კარის უვნებელყოფასთან ერთად, შეტევებიც ფიქრობდნენ, მაგრამ ისე ძალზე ცოტა ხანს გაგრძელდა. სულ ბოლოს გამოაშკარავდა, რომ ლიდერისა და აუტსაიდერის ძალებს შორის მკვეთრი განსხვავებაა. თბილისელები მოედნენ ყოველ მონაკვეთზე გაბატონდნენ, მათ მთლიანად იგდეს ხელთ უპირატესობა.

ამ შეხვედრაში „დინამოს“ რიგებში საგულისხმო გადახალისება მოხდა. იმის გამო, რომ „ნაპოლისთან“ მატჩში ტრავმირებული შენგელაიას ბედი ორი დღის წინ ჩელებაძემ გაიზიარა (იგი „დინამოსა“ და „არარატის“ საათადარაგოთა შემადგენლობის შეხვედრაში დაშავდა), გუნდი ორი თავდამსხმელის — ყიფიანისა და გუცაევის ანაბარა დარჩა. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ მოედანზე სულაქველიძე გამოეყვანათ და მისთვის ეგრეთ წოდებული „ზვირთმჭრელის“ ფუნქციები დაეკისრებინათ. ამ ცვლილებას სხვა გადაადგილებებიც მოჰყვა: შედარებით წინა ხაზზე გადაინაცვლა მანუჩარ მარაძემ, ხოლო ქორიძემ ყიფიანთან ერთად „ცეცხლის ხაზზე“ დაიკავა ადგილი. ასეთი იძულებითი ექსპერიმენტების შედეგად დინამოელთა თამაში ერთხანს ორგანიზებულობა აკლდა მოედნის ცენტრში, მაგრამ შემდგომში, რაკი ლიდერის შეტევითმა ოპერაციებმა მატჩის მთელი პერიპეტიები სტუმართა სასარგებლო მოედანზე გადაიტანა, მდგომარეობა გამოსწორდა. მე-8 წუთზე მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, მარჯვენა ფრთაზე, უხვმად ეთამაშნენ კოსტავას და გუცაევის მიერ ჩაწოდებული ბურთი ქორიძეს თავით გავზავნა მეკარე ოვსეპიანის კარში. პირველ ტაიმში „დინამომ“ კიდევ ერთხელ იზეიმა გოლის გატანა — ამჯერად თავი გამოიჩინა ყიფიანმა.

შეხვედრის მეორე ნახევარი დინამოელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი გოლით გამოიხატა. 55-ე წუთზე „არარატის“ მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით შეაჩერა ბურთი და მსაჯმა ვ. ბასკაკოვმა 11-მეტრიანი დანიშნა. გუცაევის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 3:0.

მომდინარე ჩემპიონატში ამ მეაოთხე დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ დინამოელებმა საგარეონობლად განმტკიცეს პოზიციები ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში.

როგორც ჩანს, სანუკვარ მიზნამდე შორს აღარ არის.

გ. ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ხაკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის კიდევ ორი მატჩი. „ტორპედომ“ შინ დაამარცხა „ზარია“ — 2:0, ხოლო „სპარტაკმა“ „ჩერნომორეცს“ უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა — 1:1, თუ „სპარტაკს“ ამ შედეგმა ჩვეულებრივი, 1 ქულა მოუტანა, „ჩერნომორეცისთვის“ ეს ფრე რიგით მეცხრე და, ეხი იგი წაგების ტოლი გახლდათ.

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 3 ოქტომბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	25	15	6	4	37-19	36
„შახტიორი“	25	14	4	7	35-25	32
„დინამო“ მ.	25	12	7	6	32-21	31
„ჩერნომორ.“	25	11	9	5	35-20	30
„დინამო“ კ.	25	11	8	6	32-19	30
„ტორპედო“	25	11	8	6	29-20	30
„სპარტაკი“	25	11	5	9	34-28	27
„ცსკა	25	10	4	11	28-34	24
„პახტაკორი“	25	9	6	10	37-35	24
„ზენიტი“	25	8	7	10	28-37	23
„კაირატი“	25	8	7	10	27-32	23
„ზარია“	25	7	7	11	31-37	21
„ნეფთჩი“	25	7	6	12	22-30	20
„არარატი“	25	7	3	15	15-35	17
„ლოკომოტ.“	25	4	8	13	20-37	16
„დნეპრი“	25	6	3	16	19-32	15

რედაქტორის მოადგილე
Ვ. ᲥᲐᲠᲣᲛᲘᲫᲔ.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲯᲝᲒᲔᲡ

რომში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალური შეხვედრა მოუგო იტალიელებს (3:0) და პირველად 1962 წლის შემდეგ, დაუფლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა ამ ჩემპიონატის ყველა მატჩში გაიმარჯვეს. მესამე საპრიზო ადგილისათვის გამართული შეხვედრა კუბელებმა მოუგეს სამხრეთკორეელებს (3:1).

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

□

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ ახალ ტრაკზე დაიწყო კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფენიარ ველოსიპედისტთა შორის. აქ თავი ისახელა თბილისელმა ემზარ გელაშვილმა, რომელმაც სპრინტერულ რბოლაში ყველას აჯობა. გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში უძლეველი იყო ლენინგრადელი ანდრეი კურკინი, ხოლო ერთკილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვა ლატვიელმა ჯაიტის ლატნშმა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲓᲔ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲯᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) — 3:0.

თბილისი. 1 ოქტომბერი. ვ. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 22 გრადუსი ხეთრეთ. 65.000 მაყურებელი. მსაჯი ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (მუჯირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ხელაქველიძე (ცოპალეიშვილი).

„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“: ოვსეპიანი, გეოვორქიანი (მელიქიანი), ხარჭისიანი, აშ. ხაჩატრიანი, პეტროსიანი, მინასიანი, ბონდარენკო, ქეროპიანი, ან. ხაჩატრიანი, ოგანესიანი, ხაკიანი.

ᲒᲝᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ: ქორიძე (მე-8 წ.), ყიფიანი (36-ე წ.), გუცაევი (11-მეტრიანით 55-ე წ.).

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. საფეხბურთო შემოდგომის ამ ცხარე დღეებში ლიდერები საპრიზო ადგილებისთვის ავიწროებენ ერთმანეთს, აუტსაიდერები კი უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნისათვის. ამდენად, ორივე „გვარდიის“ წარმომადგენელთა შეხვედრებიც კი მეტად საინტერესო, უკომპრომისო ორთაბრძოლების მოწმენი ვხდებით. მაგრამ ეს მატჩები პარალელურად იმახვეც გვაძლევენ პასუხს, თუ რომელმა გუნდმა შეძლო ჩემპიონატის მარათონულ დისტანციაზე ძალების გეგმაზომიერად, რაციონალურად განაწილება.

ამ მხრივ თბილისის „დინამოს“ და ერევნის „არარატის“ გუშინწინდელი შეხვედრა მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა. დღეს ორივე გუნდს ერთიანობისა, თუმცა სხვადასხვა ხასიათის, ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: „დინამო“ მხოლოდ ოქროს მედლებისათვის იბრძვის, „არარატი“ — სახიფათო ზონიდან თავის დაღწევისათვის.

მატჩის პირველმა წუთებმა მოლოდინი გაამართლა: ერევნელი ფეხბურთელები ვაღში არ დარჩენილან მასპინძლებთან, ანი-ნი, საკუთარი კარის უვნებელყოფასთან ერთად, შეტევებიც ფიქრობდნენ, მაგრამ ისე ძალზე ცოტა ხანს გაგრძელდა. სულ ბოლოს გამოაშკარავდა, რომ ლიდერისა და აუტსაიდერის ძალებს შორის მკვეთრი განსხვავებაა. თბილისელები მოედნენ ყოველ მონაკვეთზე გაბატონდნენ, მათ მთლიანად იგდეს ხელთ უპირატესობა.

ამ შეხვედრაში „დინამოს“ რიგებში საგულისხმო გადახალისება მოხდა. იმის გამო, რომ „ნაპოლისთან“ მატჩში ტრავმირებული შენგელაიას ბედი ორი დღის წინ ჩელებაძემ გაიზიარა (იგი „დინამოსა“ და „არარატის“ საათადარაგოთა შემადგენლობის შეხვედრაში დაშავდა), გუნდი ორი თავდამსხმელის — ყიფიანისა და გუცაევის ანაბარა დარჩა. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ მოედანზე სულაქველიძე გამოეყვანათ და მისთვის ეგრეთ წოდებული „ზვირთმჭრელის“ ფუნქციები დაეკისრებინათ. ამ ცვლილებას სხვა გადაადგილებებიც მოჰყვა: შედარებით წინა ხაზზე გადაინაცვლა მანუჩარ მარაძემ, ხოლო ქორიძემ ყიფიანთან ერთად „ცეცხლის ხაზზე“ დაიკავა ადგილი. ასეთი იძულებითი ექსპერიმენტების შედეგად დინამოელთა თამაში ერთხანს ორგანიზებულობა აკლდა მოედნის ცენტრში, მაგრამ შემდგომში, რაკი ლიდერის შეტევითმა ოპერაციებმა მატჩის მთელი პერიპეტიები სტუმართა სასარგებლო მოედანზე გადაიტანა, მდგომარეობა გამოსწორდა. მე-8 წუთზე მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, მარჯვენა ფრთაზე, უხვმად ეთამაშნენ კოსტავას და გუცაევის მიერ ჩაწოდებული ბურთი ქორიძემ თავით გავზავნა მეკარე ოვსეპიანის კარში. პირველ ტაიმში „დინამომ“ კიდევ ერთხელ იზეიმა გოლის გატანა — ამჯერად თავი გამოიჩინა ყიფიანმა.

შეხვედრის მეორე ნახევარი დინამოელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი გოლით გამოიხატა. 55-ე წუთზე „არარატის“ მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით შეაჩერა ბურთი და მსაჯმა ვ. ბასკაკოვმა 11-მეტრიანი დანიშნა. გუცაევის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 3:0.

მომდინარე ჩემპიონატში ამ მეაოთხე დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ დინამოელებმა საგარეონობლად განმტკიცეს პოზიციები ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში.

როგორც ჩანს, სანუკვარ მიზნამდე შორს აღარ არის.

გ. ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ხაკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის კიდევ ორი მატჩი. „ტორპედომ“ შინ დაამარცხა „ზარია“ — 2:0, ხოლო „სპარტაკმა“ „ჩერნომორეცს“ უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა — 1:1, თუ „სპარტაკს“ ამ შედეგმა ჩვეულებრივი, 1 ქულა მოუტანა, „ჩერნომორეცისთვის“ ეს ფრე რიგით მეცხრე და, ეხი იგი წაგების ტოლი გახლდათ.

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 3 ოქტომბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	25	15	6	4	37-19	36
„შახტიორი“	25	14	4	7	35-25	32
„დინამო“ მ.	25	12	7	6	32-21	31
„ჩერნომორ.“	25	11	9	5	35-20	30
„დინამო“ კ.	25	11	8	6	32-19	30
„ტორპედო“	25	11	8	6	29-20	30
„სპარტაკი“	25	11	5	9	34-28	27
„ცსკა	25	10	4	11	28-34	24
„პახტაკორი“	25	9	6	10	37-35	24
„ზენიტი“	25	8	7	10	28-37	23
„კაირატი“	25	8	7	10	27-32	23
„ზარია“	25	7	7	11	31-37	21
„ნეფთჩი“	25	7	6	12	22-30	20
„არარატი“	25	7	3	15	15-35	17
„ლოკომოტ.“	25	4	8	13	20-37	16
„დნეპრი“	25	6	3	16	19-32	15

რედაქტორის მოადგილე
Ვ. ᲥᲐᲠᲣᲛᲘᲫᲔ.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ № 9. დიდი რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავის გამო ჟურნალი ბეჭდავს მწერლის ცნობილი ტრაქტატის „რა არის ხელოვნება?“ ნაწყვეტს, რომელიც ჯ. თითმერიამ თარგმნა.

სანდრო შანშიაშვილის დაბადების 90-ე წლისთავს ეძღვნება ტ. კვანტალიანის წერილი. ჟურნალში გრძელდება ბეჭდვა ნ. გურაბანიძის წერილისა „ექსპერიმენტული დრამა და „ახალი ადამიანის“ პრობლემა ქართულ თეატრში“. იბეჭდება გ. ჟორდანიას რეცენზია, რომელიც ეძღვნება თბილისში დიუსელდორფის თეატრის გასტროლებს. ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებას განხილავს ნ. მირცხულავა, ხოლო ფარნაოზ. ლაპიაშვილისას — ს. კესნერ-მოთაშვილი.

ვ. ძიგაა გვესაუბრება ცნობილ ქართველ მსახიობ სანდრო ყორიოლიანზე. სპეციალ „ბერიკონის“ დადგმის გამო ჟურნალი მკითხველს სთავ